მემორანდუმის გაფორმება

4 აპრილს, 15:00 საათზე კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის გაფორმდება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

თანამშრომლობის მიზანია საგანმანათლებლო, კვლევითი ღონისძიებების ორგანიზება აკადემიური და გამოყენებითი კვლევების პოპულარიზაცია და დაინტერესებული პირების ეფექტური ინფორმირება.

ამ ორ დაწესებულებას შორის უკვე დაგეგმილია საინტერესო პროექტები. სამომავლოდ აუცილებლად დაიგეგმება სტუდენტებისათვის სემინარები, საჯარო ლექციები, თემატური ფორუმები და ერთობლივი სხვა ღონისძიებები.

ღონისძიება გაიმართება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (მის: მ.ალექსიძის 1/3.)

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე - 577 977 199; pr@manuscript.ac.ge - www.manuscript.ge
მის: თბილისი, მ. ალექსიძის ქუჩა №1/3